ხელშეკრულება №22.

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 10 სექტემბერი 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის #218 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის ნოდარ ქავთარაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ლ.გ.ვ." (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვასილ ბასიშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სამეურნეო საქონლის შეძენა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

CPV კოდი: 31400000, 31500000, 39200000, 39800000, 44400000.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 78,10 (სამოცდა თვრამეტი ლარი და 10 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის **14 სექტემბრის** ჩათვლით, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 სექტემბრამდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ ქალაქ თბილისის #218 საჯარო სკოლა	შპს „ლ.გ.ვ."
მისამართი: ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, სოფ. ფონიჭალა	მისამართი: რუსთაველის გზატკეცილი 40ა
ტელეფონი: 0(32) 240-44-79	ტელეფონი:
საიდენტიფიკაციო კოდი: 226526211	საიდენტიფიკაციო კოდი: 204455936
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი" გარდაბნის ფილიალი	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი" ც/ფ
საბანკო კოდი: LBRTGE22	საბანკო კოდი: MIBGGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE25LB0121158717884000	ანგარიშსწორების ანგარიში: GE92BC0223600100011145
დირექტორის მ.შ:	დირექტორი:
ნ. ჯვთარაძე	ვ. ბასიშვილი
10 სექტემბერი 2015წ.	10 სექტემბერი 2015წ.

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია შემდეგი საოფისე მოწყობილობები და მარაგი:

№	დასახელება	CPV კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ონკანი DIABLO 9007	44400000	ცალი	2	10,00	20,00
2	ონკანი ერთიანი (ოთკუთხა)	44400000	ცალი	1	12,00	12,00
3	FUM19 პოლიმერული პაკლი 19მმ	44400000	ცალი	1	2,50	2,50
4	ვინტილი ITALY (2/1)(2/1)	44400000	ცალი	3	2,80	8,40
5	ლითონის მილი 1/2*1/2 45სმ	44400000	ცალი	2	3,20	6,40
6	აქანდაზი	39200000	ცალი	4	2,20	8,80
7	იეთიშ მინის 500მლ	39800000	ცალი	2	1,50	3,00
8	მინის საწმენდი 500მლ (cam sil 500ml)	39800000	ცალი	1	1,50	1,50
9	ნათურა ზ230-60-4 ე27	31500000	ცალი	20	0,60	12,00
10	Camelion Super Heavy Duty,ცისფერი,AAA ზომა, 4ც-შეკვრა (ცელოფანი),RO3P-SP4B	31400000	ცალი	2	1,40	2,80
11	1353-Camelion Super Heavy Duty,ცისფერი,AAA ზომა,4ც-შეკვრა (ცელოფანი),RO3P-SP4B	31400000	ცალი	2	0,35	0,70
სულ ღირებულება						78,10 ლარი

სსიპ ქალაქ თბილისის #218 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. ---------------- /ნ. ქავთარაძე/

შპს „ლ.გ.ვ." ---------------- /ბ. ხარშილაძე/

მიღება-ჩაბარების აქტი №20.

ქ.თბილისი "11" სექტემბერი "2015 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის #218 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ.- ნოდარ ქავთარაძის სახით, მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ლ.გ.ვ."-ს დირექტორის ვასილ ბასიშვილის სახით, ვადასტურებთ, რომ სამდვილად მოხდა სამეურნეო საქონელის შეძენა. თანხამ შეადგინა – 78,10 / სამოცდა თვრამეტი ლარი და 10 თეთრი/ ლარი.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ

"შემსყიდველი"

სსიპ ქალაქ თბილისის #218 საჯარო

სკოლის დირექტორის მ.შ:

---------- /ნ. ქავთარაძე/

"მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ლ.გ.ვ."

დირექტორი:

---------- /ვ. ბასიშვილი/

კორექტირების თარიღი: 10/09/2015 13:37:27

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0194806397

2	10/09/2015

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	10:53:59

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ლ.გ.ვ.	204455936
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ თბილისის #218 საჯარო სკოლა	226526211
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	რუსთავის გზატკეცილი 40ა

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ქ.თბილისი, სოფელი ფონიჭალა

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საზ.ტრანსპორტი
	ტრანსპორტირების სახე

10	X
	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ონკანი DIABLO 9007	033314	ცალი	2.0000	10.0000	20.0000
2	ონკანი ერთიანი (ოთკუთხა)	032354	ცალი	1.0000	12.0000	12.0000
3	FUM19 პოლიმერული პაკლი 19მმ	033915	ცალი	1.0000	2.5000	2.5000
4	ვინტილი ITALY (2/1)(2/1)	026400	ცალი	3.0000	2.8000	8.4000
5	ლითონის მილი 1/2*1/2 45სმ	031687	ცალი	2.0000	3.2000	6.4000
6	აქანდაზი	027363	ცალი	4.0000	2.2000	8.8000
7	იეთიშ მინის 500მლ	033724	ცალი	2.0000	1.5000	3.0000
8	მინის საწმენდი 500მლ (cam sil 500ml)	035102	ცალი	1.0000	1.5000	1.5000
9	ნათურა B230-60-4 ე27	027436	ცალი	20.0000	0.6000	12.0000
10	Camelion Super Heavy Duty,ცისფერი,AAA ზომა, 4ც-შეკვრა (ცელოფანი),RO3P-SP4B	022733	ცალი	2.0000	1.4000	2.8000

13	78.1 - სამოცდათვრამეტი ლარი და ათი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	ემა ავაქოვი

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	ხალიფ ასკაროვი

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	14/09/2015	13:28:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 12/10/2015, 01:32:36

0194806397 სასაქონლო ზედნადების დანართი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
11	1353-Camelion Super Heavy Duty,ცისფერი,AAA ზომა,4ც-შეკვრა (ცელოფანი),RO3P-SP4B	033089	ცალი	2.0000	0.3500	0.7000

13	78.1 - სამოცდათვრამეტი ლარი და ათი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	ემა ავაქოვი

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	ხალიფ ასკაროვი

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	14/09/2015	13:28:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 12/10/2015, 01:32:36